ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დაშვებების ცვლილება. ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული შემოსავლებისა და დანაკარგების თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალების ცვეთა აღიარდება მოგება-ზარალში, რომლის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით, იმ თარიღიდან როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. დაუმთავრებელ მშენებლობაზე ცვეთის დარიცხვა არ ხორციელდება მანამ, სანამ ის არ იქნება მზად გამოსაყენებლად.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნარჩენი ღირებულების მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში	
მიწა	განუსაზღვრელი მომსახურების ვადა
შენობა	40-50 წელი
მანქანა-დანადგარები	3-20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს დიდი ალბათობა ჯგუფში ეკონომიკური სარგებლის მიღების და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა, იმის მიუხედავად თუ როდის მოხდება თანხის მიღება. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები თანხის სამართლიანი ღირებულებით, კონტრაქტით გათვალისწინებული გადახდის პირობების გათვალისწინებით, გადასახადების თუ ბაჟის გარეშე. ჯგუფმა დაადგინა, რომ ის არის პრინციპული ყველა შემოსავლის ხელშეკრულებაში, რადგან ის არის მთავარი მოვალე, აქვს ფასის ცვლილების შესაძლებლობა და ასევე ექვემდებარება მარაგების და საკრედიტო რისკს.

ყოველ ხელშეკრულებაზე ჯგუფი ახორციელებს შემდეგ ნაბიჯებს: ახდენს კონტრაქტის არსებობის იდენტიფიცირებას; განსაზღვრავს შესრულების ვალდებულებას; განსაზღვრავს ტრანზაქციის ფასს; ანაწილებს ტრანზაქციის ფასს თითოეული შესრულების ვალდებულებაზე და აღიარებს შემოსავალს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა შესრულების ვალდებულება შესრულდება დაპირებული საქონლის ან მომსახურების მიწოდებით.

შემოსავალი სამშენებლო ხელშეკრულებებიდან აღიარდება შესრულების პროცენტის მეთოდით, რომელიც განისაზღვრება, საანგარიშგებო პერიოდისთვის გაწეული ხელშეკრულების ხარჯების მთლიანი შეფასებული ხელშეკრულების ხარჯებთან შეფარდების პროპორციულად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია საწყისი ღირებულებით და დაკლასიფიცირებულია როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდის აღიარება ხდება ვალდებულებებში იმ წელს როდესაც ხდება გამოცხადება.

2. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ფასს 9“ მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

3. გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები

ფასს 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა – სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის – „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულებები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება.

მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკიდან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორითაც ბასს 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას:

3. გამოცემული ახალი ან განახლებული სტანდარტები და განმარტებები (გაგრძელება)

საოპერაციოს და ფინანსურს. ფასს 16, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, მოიჯარეებს და მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა. ჯგუფი ფასს 16-ის მიღებას აპირებს რეტროსპექტულად, ფასს 16-ის თავდაპირველი გამოყენების ჯამური (კუმულაციური) ეფექტით, რომელიც აღიარებულია თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის. ჯგუფი გადაწყვეტს სტანდარტის გამოყენებას იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე, ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით, იჯარებად განისაზღვრებოდა. ამიტომ ჯგუფი არ გამოიყენებს სტანდარტს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც ადრე არ განისაზღვრებოდა იჯარის შემცველად ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის გამოყენებით. ჯგუფი გადაწყვეტს სტანდარტით გათვალისწინებული გამონაკლისების გამოყენებას იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა მიხედვითაც, იჯარის ვადა მთავრდება 12 თვეში თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, და აგრეთვე იმ საიჯარო კონტრაქტებზე, რომელთა საბაზისო აქტივი დაბალი ღირებულებისაა. ჯგუფი ამჟამად აფასებს ფასს 16-ის მიღების გავლენას, მაგრამ ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის არ მოელოს, რომ ამ სტანდარტს რაიმე მნიშვნელოვანი გავლენა ექნება მის საკუთარ კაპიტალზე.

ფასიკ (IFRIC) 23-ის ინტერპრეტაცია – „მოგების გადასახადით დაბეგვრასთან დაკავშირებული გაურკვევლობა“ ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადების აღრიცხვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო დაბეგვრა შეიცავს გაურკვევლობას, რაც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე. იგი არ ვრცელდება ბასს 12-ის მოქმედების არეალის მიღმა მყოფ გადასახადებზე და მოსაკრებლებზე, ამასთან იგი არ მოიცავს კონკრეტულ მოთხოვნებს გაურკვევლობის შემცველ საგადასახადო დაბეგვრასთან დაკავშირებული ჯარიმებისა თუ საურავების შესახებ. ინტერპრეტაცია კონკრეტულად მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ჯგუფი განიხილავს თუ არა გაურკვეველი საგადასახადო დაბეგვრის წესებს;
- დაშვებები, რომლებსაც ჯგუფი აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ გამოყენებული საგადასახადო დაბეგვრის წესების შემოწმების შესახებ;
- როგორ განსაზღვრავს ჯგუფი დასაბეგრ მოგებას (საგადასახადო ზარალს), საგადასახადო ზაზებს, გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს, გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტებს და საგადასახადო განაკვეთებს;
- როგორ განიხილავს ჯგუფი ცვლილებების შეტანას ფაქტებსა და გარემოებებში.

ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, გაურკვევლობის შემცველი თითოეული საგადასახადო დაბეგვრის შემთხვევა ცალკე განიხილოს, თუ გაურკვევლობის შემცველ ერთ ან მეტ საგადასახადო დაბეგვრასთან ერთად. ამას უნდა მოჰყვეს მიდგომა, რომელიც უკეთესად ახდენს გაურკვევლობის გადაწყვეტის პროგნოზირებას. ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, თუმცა მასზე გადასვლის გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. ჯგუფი ინტერპრეტაციას გამოიყენებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან. ჯგუფი ვარაუდობს რომ ინტერპრეტაციას არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა მის კაპიტალზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ.

საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ახალი ფასს 9-ს მიხედვით, გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვს ყველა რისკზე ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნის მომენტიდან მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან მისი საკრედიტო რისკის გაუარესების მიხედვით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვს მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის „გაუფასურებული“, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით.

იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სეგმენტის მიხედვით. ჯგუფი აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. „ფასს 9“ მოითხოვს ფინანსური გარკვეული ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას თუ არა, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

ჯგუფი აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

ჯგუფი რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო მოთხოვნებს, ასევე გაცემულ სესხებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში.

შპს „ჭრელი აბანო“ და მისი შვილობილი კომპანია
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარში)

5. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	მიწა	შენობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ	არამატერიალური აქტივები
ისტორიული ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	3,804,000	5,798,921	224,227	83,746	9,910,894	247,303
შემოსვლა	-	25,493	6,725	16,810	49,028	7,460
31 დეკემბერი 2018	3,804,000	5,824,414	230,952	100,556	9,959,922	254,763
შემოსვლა	-	-	302,861	27,527	330,388	25,861
31 დეკემბერი 2019	3,804,000	5,824,414	533,813	128,083	10,290,310	280,624
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2017	-	94,822	25,737	3,445	124,004	96,318
ცვეთის ხარჯი	-	131,138	22,050	11,924	165,112	12,365
31 დეკემბერი 2018	-	225,960	47,787	15,369	289,116	108,683
ცვეთის ხარჯი	-	121,476	41,079	14,519	177,074	17,077
31 დეკემბერი 2019	-	347,436	88,866	29,888	466,190	125,760
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	3,804,000	5,704,099	198,490	80,301	9,786,890	150,985
31 დეკემბერი 2018	3,804,000	5,598,454	183,165	85,187	9,670,806	146,080
31 დეკემბერი 2019	3,804,000	5,476,978	444,947	98,195	9,824,120	154,864

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მოთხოვნები კლიენტების მიმართ	13,728	10,156
წინასწარი გადახდები	2,720	228,657
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,448	238,813

7. მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ჰიგიენური საშუალებები	55,299	61,786
საკვები და სასმელი	20,169	22,825
საწვავი	-	706
სულ მარაგები	75,468	85,317

8. საგადასახადო აქტივი, წმინდა

ჯგუფს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია საგადასახადო აქტივი 221,455 ლარის ოდენობით, რომელიც ძირითადად მოიცავს დღგ-ს და ქონების გადასახადის თანხებს. 2018 წელს საგადასახადო აქტივი შეადგენდა 216,212 ლარს.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	10,371	16,088
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	28,259	27,878
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	37,932	42,636
ფული გზაში	8,550	16,350
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	85,112	102,952

10. კაპიტალი

ჯგუფში 2016 წლის 1 იანვრამდე ჩატარებული სარემონტო სამუშაოებისთვის, დამფუძნებლების მიერ თანხების შეტანა ხორციელდებოდა სესხის სახით, რომელიც შემდეგ დარიცხულ პროცენტთან ერთად 2013 წლის 23 დეკემბერს დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით შევიდა კაპიტალში.

2018 წლის 30 აპრილის შპს „ჭრელი აბანოს“ პარტნიორთა კრების ოქმის მიხედვით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოხდეს საწესდებო კაპიტალის მთლიანი შემცირება (განულება) ეტაპობრივად, რაც 2020 წლის განმავლობაშიც გრძელდება (იხ. 21-ე შენიშვნა).

11. სესხები

ორგანიზაცია	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თიბისი ბანკი	14.08.2014	14.08.2021	7.6% + m.Libor	USD	634,055	897,703
გადასახდელი პროცენტი					4,664	7,183
სულ					638,719	904,886

2014 წლის 14 აგვისტოს ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ბანკ რესპუბლიკასთან 900 000 აშშ დოლარის საკრედიტო ლიმიტით. 2017 წლის ივნისში შპს „ჭრელი აბანოს“ ვალდებულება გაუჩნდა თი-ბი-სი ბანკის, ბანკი რესპუბლიკის შესყიდვის გამო. შესაბამისად, ხელშეკრულებაში ცვლილებები არ განხორციელებულა. სასესხო ვალდებულების საბალანსო ნაშთი 897,703 ლარია. ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 2014 წლის 14 აგვისტოს. ჯგუფმა საკრედიტო ლიმიტიდან აითვისა მხოლოდ 654,237 აშშ დოლარი. სესხი უნდა დაიფაროს 2021 წლის 14 აგვისტოს. საპროცენტო განაკვეთი სესხისთვის წარმოადგენს 7,6%+6mLibor. 2019 წლის განმავლობაში ჯგუფის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 81,561 ლარი (2018: 95,618). დადებული ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფმა უნდა შეინარჩუნოს შემდეგი ფინანსური კოეფიციენტები.

(ა) 2015 წლიდან EBITDA > 300 000 ლარზე , DSCR > 1.0

(ბ) არსებული სასესხო ვალდებულების და უზრუნველყოფაში წარმოდგენილი უძრავი ქონების სალიკვიდაციო ღირებულების (ბანკის მიერ განსაზღვრული) შეფარდების კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 1.25

ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე არ განხორციელდეს დივიდენდების გაცემა და კაპიტალური დანახარჯები.

(გ) ხელშეკრულებაში მითითებული განსაკუთრებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო სარგებელი მაქსიმუმ წლიური 12 %-მდე.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	258,139	205,573
ხელფასები	-	1,538
გადასახდელი დივიდენდები	66,984	56,145
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,123	263,256

13. ამონაგები

	2019	2018
შემოსავალი ნომრებიდან	4,141,933	3,203,902
შემოსავალი სასმელებიდან და საკვებიდან	375,386	334,403
შემოსავალი ჰიგიენური საშუალებებიდან	239,644	220,882
შემოსავალი იჯარიდან	72,458	77,458
სხვა საოპერაციო შემოსავალი	19,180	12,705
სულ ამონაგები	4,848,601	3,849,350

14. რეალიზაციის ღირებულება

	2019	2018
ხელფასის ხარჯი	593,516	160,741
კომუნალური ხარჯები	283,295	225,020
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	181,292	163,266
ჰიგიენური საშუალებების ხარჯები	113,326	89,656
საკვები და სასმელი	87,363	73,145
სამეურნეო ხარჯები	74,621	97,858
დაცვის ხარჯი	51,840	51,840
იჯარის ხარჯი	25,073	30,923
გოგირდი წყლის ხარჯი	-	21,202
სხვა ხარჯები	7,092	8,417
სულ რეალიზაციის ღირებულება	1,417,418	922,068

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2019	2018
შრომის ანაზღაურების ხარჯი	259,808	462,543
რემონტი	101,392	23,131
საგადასახადო ხარჯი	59,990	60,370
ბანკის მომსახურების საკომისიო	55,623	37,293
მომსახურების ხარჯი	43,365	14,140
საოფისე ხარჯი	34,193	-
სანოტარიო მომსახურების ხარჯი	17,757	1,171
ოფისის იჯარა	13,254	3,267
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	12,859	14,211
რეკლამის ხარჯი	12,717	19,467
კომუნალური გადასახადები	5,846	11,337
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,756	3,721
სხვა ხარჯები	6,098	1,493
სულ საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	628,658	652,144

16. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახადელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2018 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

მოგების გადასახადი 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენდა 13,220 ლარს (2018: 0 ლარი).

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს.

ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც ჯგუფი საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების აღრიცხვის დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანსაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და ჯგუფის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება (2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გაგრძელება)

პანდემიის გავრცელება და მასთან დაკავშირებული პირობითი ვალდებულებები

ამასთანავე, როგორც 21-ე შენიშვნაში აღნიშნა კორონავირუსის გავრცელების შესახებ (კოვიდ-19), იგი გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივს ასევე გლობალურ ბაზრებზე. ზემოქმედების ზომა, მასშტაბები და ხანგრძლივობა არ არის ზუსტად განსაზღვრული. ბაზარზე, რომელშიც ჯგუფი ოპერირებს, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ ამ მოვლენას მნიშვნელოვანი გავლენა არ ექნება ჯგუფის საოპერაციო საქმიანობაზე.

18. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

ფინანსური რისკი მოიცავს **საბაზრო რისკს** (რომელშიც შედის: სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის და ფასების რისკი), **საკრედიტო რისკი** და **ლიკვიდობის რისკი**. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის მთავარი ამოცანა და მიზანია რისკის ლიმიტების დადგენა და უზრუნველყოფა რომ რისკების ზემოქმედება დარჩეს მოცემულ ლიმიტებში.

საკრედიტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკებს, აღნიშნული რისკის მიხედვით საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ სხვა მხარისათვის ვალდებულების ვერ შესრულებით წარმოიქმნება ფინანსური ზარალი. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროდუქციის შემდგომი გადახდის პირობით რეალიზების საფუძველზე და ასევე სხვა ტრანზაქციების საფუძველზე, რომელიც ზრდის ფინანსურ აქტივებს.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,728	10,156
ფული და ფულის ეკვივალენტები	85,112	102,944
სულ ფინანსური აქტივები	98,840	113,100
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,123	263,256
მიღებული სესხი	638,719	904,886
სულ ფინანსური ვალდებულებები	963,842	1,168,142

საბაზრო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჯგუფს აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. ჯგუფი არ იყენებს დერივატივებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად ჯგუფის ხელმძღვანელობა ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულების ჯგუფის დონეზე მართვით.

ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე სავალუტო გაცვლითი კურსის დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის მგრძნობიარობა უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მიმართ 2019 და 2018 წლის მიმართ საანგარიშგებო პერიოდების ბოლოს:

31 დეკემბერი 2019			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	37,412	638,719	601,307
ევრო	115	-	115
სულ	37,527	638,719	601,422

31 დეკემბერი 2018			
	მონეტარული ფინანსური აქტივები	მონეტარული ფინანსური ვალდებულებები	წმინდა მონეტარული ფინანსური პოზიცია
აშშ დოლარი	35,889	-	35,889
ევრო	6,747	6,059	688
სულ	42,637	6,059	36,578

გავლენა მოგება-ზარალზე	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აშშ დოლარის გამყარება 10%-ით	60,131	3,589
აშშ დოლარის გაუფასურება 10%-ით	(60,131)	(3,589)
ევროს გამყარება 10%-ით	12	69
ევროს გაუფასურება 10%-ით	(12)	(69)

ლიკვიდურობის რისკი - წარმოადგენს რისკს რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. ჯგუფს აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს ჯგუფის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილში მოყვანილია ჯგუფის ვალდებულებები 2019 და 2018 წლების მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით.

თანხები რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენ საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ამგვარი არა დისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში არსებული ნაშთებისგან რადგან მასში ნაშთები წარმოდგენილია დისკონტირებული ღირებულებით. გადახდები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია მიმდინარე კურსით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

31 დეკემბერი 2019	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,728	-	-	13,728
ფული და ფულის ეკვივალენტები	85,112	-	-	85,112
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(325,123)	-	-	(325,123)
მიღებული სესხი	(179,301)	(459,418)	-	(638,719)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(405,584)	(459,418)	-	(865,002)
31 დეკემბერი 2018	< 1 წელი	1-დან 5 წლამდე	> 5 წელი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,156	-	-	10,156
ფული და ფულის ეკვივალენტები	102,952	-	-	102,952
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(263,256)	-	-	(263,256)
მიღებული სესხი	(904,886)	-	-	(904,886)
წმინდა ლიკვიდურობის პოზიცია	(1,055,034)	-	-	(1,055,034)

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება იმ თანხის რაოდენობით, რა თანხადაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის გაცვლა/რეალიზაცია მიმდინარე ანგარიშსწორებისას თანაბარი ინფორმაციის მქონე და ნებაყოფლობით მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით. გარდა სალიკვიდაციო ან ძალდატანებითი გაყიდვის ტრანზაქციებისა. აქედან გამომდინარე ქვემოთ წარმოდგენილი შეფასებები აუცილებლად არ მიუთითებს იმ თანხას, რომელის მიღებაც შეუძლია ჯგუფს, რომელიმე ფინანსური ინსტრუმენტის ბაზარზე მისი აქტივების სრული რეალიზაციის შემთხვევაში.

ჯგუფის ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი და საბალანსო ღირებულების შედარება იხილეთ ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2019		31 დეკემბერი 2018	
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები:	98,840	98,840	113,108	113,108
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13,728	13,728	10,156	10,156
ფული და ფულის ეკვივალენტები	85,112	85,112	102,952	102,952

19. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები:	963,842	963,842	1,168,142	1,168,142
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	325,123	325,123	263,256	263,256
მიღებული სესხები	638,719	638,719	904,886	904,886

20. დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 ოქტომბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის დასაწყისიდან, მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა კორონავირუსი (კოვიდ-19) და 2020 წლის 11 მარტს „მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ“ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ვირუსის გავრცელების შედეგად სიტუაცია სწრაფად ცვალებადია. აღნიშნულმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია გლობალურ, ისე ადგილობრივი ბაზრებზე ამასთანავე, მას მნიშვნელოვანი პირდაპირი შედეგი არ ჰქონია ჯგუფის საქმიანობაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის.
- 2018 წლის 30 აპრილის შპს „ჭრელი აბანოს“ პარტნიორთა კრების ოქმის საფუძველზე, 2020 წლის განმავლობაში ჯგუფის მფლობელთა კაპიტალი შემცირდა 299,723 ლარით.
- 2020 წლის აპრილსა და ივნისში ჯგუფმა მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად დამფუძნებლებისგან მიიღო უპროცენტო სესხი ჯამური ღირებულებით 415,044 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს „ჭრელი აბანო“
მმართველობითი ანგარიშგება
ჯგუფი

2019 წელი

1.	ზოგადი ინფორმაცია	2
2.	ჯგუფის მართვა და კადრები	2
3.	ჯგუფის საქმიანობა.....	2
4.	შერწყმა	3
5.	ჯგუფის ფინანსური მაჩვენებლები.....	3
6.	რისკები	4
7.	სამომავლო გეგმები.....	5

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჭრელი აბანო“ (შემდგომში - „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც 2008 წლის 5 მაისს დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რომლის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, აბანოს ქ. №2.

ჯგუფი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას: აბანოების მოწყობა, მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა, თერმული წყლების გაყიდვა.

2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის საბოლოო მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
თეიმურაზ მამაცაშვილი	50%	50%
ვასილ კობაიძე	25%	25%
შპს „ჩემექსიმ ინტერნეიშნალ“	10%	10%
მანანა ციხელაშვილი	15%	15%
	100%	100%

2. ჯგუფის მართვა და კადრები

პარტნიორთა კრება - შპს „ჭრელი აბანოში“ ტარდება სულ ცოტა წელიწადში ორჯერ (საჭიროებისამებრ, ან მოთხოვნის შესაბამისად). პარტნიორთა კრება გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფის სამომავლო განვითარების სტრატეგიასა და მოგების განაწილებაზე.

დირექტორი - ინიშნება ჯგუფის პარტნიორების მიერ და ახორციელებს ჯგუფის მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას.

ჯგუფის დირექტორი მისი დარსების დღიდან დღემდე არის თეიმურაზ მამაცაშვილი. ფუნქციონირება დაიწყო 10 თანამშრომლით და ჯგუფის საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობაც. 2019 წელს დასაქმებული ყავდა 57 ადამიანი.

პერსონალი - აღსანიშნავია, რომ ჯგუფი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. ჯგუფში დასაქმებული თითქმის ყველა კადრი არის უმაღლესი განათლებით. ჯგუფში მუშაობს გამოცდილი და მაღალი კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების გუნდი, რაც ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობის საფუძველია. ამასთან, ჯგუფის თითოეული თანამშრომელი წელიწადში სულ მცირე ორჯერ გადიან გადამზადებას შესაბამის სფეროში, რომელიც ჩვენი ჯგუფის განვითარებას და გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს მომავალში. (მაგ: ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჯგუფის თანამშრომლებმა გაიარეს ადმინისტრაციის პროპორციულად მენეჯმენტის, სერვის პოლიუს სტანდარტების, საბუღალტრო და ტოპ-მენეჯმენტის კურსები).

3. ჯგუფის საქმიანობა

შპს „ჭრელი აბანოს“ გუნდი წარმოადგენს ბალნეოლოგიურ გამაჯანსაღებელ მიმართულებას ჩვენი ძირითადი მომსახურების სფერო არის „ველნესი და სპა“. მთავარი პროდუქტი არის გოგირდის წყლის თერმული აბაზანები, ასევე გვაქვს „სპა მასაჟები“ და გამაჯანსაღებელი პროცედურები. შპს ჭრელი აბანო ფუნქციონირებს 2010 წლის სექტემბრიდან დღემდე და განვლილი წლების მანძილზე მუდმივად ვითარდება და ქმნის ჯანსაღ პროდუქტს.

4. შერწყმა


შპს ჭრელ აბანოს 2008 წლის 5 მაისს შეერწყა შპს „თბილისის გოგირდის აბანო“.

5. ჯგუფი ფინანსური მაჩვენებლები

2019 წელს ჯგუფის შემოსავალი შეადგენდა 4,848,601 ლარს, რაც 21%-იან ზრდას წარმოადგენს 2018 წელთან შედარებით. 2019 წელს წმინდა მოგება შეადგინა 2,646,458 ლარი.

	2019	2018
ამონაგები	4,848,601	3,849,350
რეალიზაციის თვითღირებულება	(1,417,418)	(922,068)
საერთო მოგება	3,431,183	2,927,282
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(628,658)	(652,144)
კურსთაშორის სხვაობის წმინდა ზარალი	(61,509)	(23,045)
ფინანსური ხარჯი	(81,338)	(95,618)
მოგება დაბეგვრამდე	2,659,678	2,156,475
მოგების გადასახადი	(13,200)	-
წლის წმინდა მოგება	2,646,458	2,156,475
სხვა სრული შემოსავალი	-	-
სულ წლის სრული შემოსავალი	2,646,458	2,156,475
ჯგუფის მფლობელთა წილი	2,560,703	2,061,398
არამაკონტროლებელი წილი	85,755	95,077

ჯგუფის შემოსავალი 2018 და 2019 წლის განმავლობაში შემდეგია:



ქვემოთ მოცემულია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობის კოფიციენტები:

ფინანსური კოეფიციენტები	2019	2018
მიმდინარე აქტივები	35,837	643,294
მიმდინარე ვალდებულებები	504,424	302,979
საბრუნავი კაპიტალი (WC)	(468,587)	340,315

6. რისკები

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საკმეოვნობების განხორციელებისას, ჯგუფს აქვს შემდეგ ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ჯგუფისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ ჯგუფს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ჯგუფი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ჯგუფი ეყრდნობა შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- საპროცენტო განაკვეთის, სავალუტო და საფასო რისკების მინიმიზაცია ყველა სახის ტრანზაქციებზე (მინიმალური სავალუტო ტრანზაქციები).
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

საკრედიტო რისკი

- ჯგუფი აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა.

7. სამომავლო გეგმები

ჯგუფის მიზანია ხარისხიანი აბანოების მოწყობა და მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა. ჯგუფი განაგრძობს სტაბილურ ზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და შესაბამისი დანადგარების შეძენას, ასევე კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფას. უახლოეს მომავალში იგეგმება ახალი ტერასა კაფის და ძველი მეფე ერეკლეს აბანოს რესტავრირებული განახლებული სახით გახსნას.

თეიმურაზ მამაცაშვილი


დირექტორი

ევგენია დიაჩენკო

მთავარი ბუღალტერი

7. სამომავლო გეგმები

ჯგუფის მიზანია ხარისხიანი აბანოების მოწყობა და მოსახლეობისათვის სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მომსახურების გაწევა. ჯგუფი განაგრძობს სტაბილურ ზრდას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და შესაბამისი დანადგარების შეძენას, ასევე კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფას. უახლოეს მომავალში იგეგმება ახალი ტერასა კაფის და ძველი მეფე ერეკლეს აბონოს რესტავრირებული განახლებული სახით გახსნას.

 თეიმურაზ მამაცაშვილი დირექტორი		 ვეგენია დიაჩენკო მთავარი ბუღალტერი
--	---	---